



მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ოზურგეთში უმხმედრობი ბრძოლა



სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებსა და სერვისებზე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ოზურგეთში შეხვედრები გრძელდება.

ამჟამად, საინფორმაციო შეხვედრები დეპუტატების, ბაილეთის, ნაგომრის, შებოქედის, ნატანების, სილაურის, ძიძიის, ჭანიეთისა და ვაჟაშვილის სოფლებში ჩატარდა.

ოზურგეთის მერის მოადგილე გიორგი ლურჯუშვილიმ, ადგილობრივებს ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე, რომელსაც ახორციელებს „აწარმოე საქართველო“ დეცნილოთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და სხვა. ასევე, მერიის საინვესტიციო პროექტების განყოფილების თანამშრომლებმა წარადგინეს პრეზენტაციები და დაინტერესებულ მოქალაქეებს კონსულტაციები გაუწიეს.

აღნიშნული შეხვედრები, მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობისა და ადგილობრივ მეწარმეთა მხარდაჭერის მიზნით იმართება.



ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამომცემბა. № 7 (10451) 29 მარტი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

როდის დასრულდება დაბა ურეკის საჯარო სკოლის მშენებლობა?



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის მშენებლობა კვლავ შეჩერებულია. მორიგ ტენდერში გამარჯვებულმა მესამე კომპანიამ შპს „აღმაშენებელი ქუთაისი“ ოფიციალურად დატოვა მშენებლობა. სავარაუდო მიზეზი კომპანიის დატვირთვაა – ამჟამად კომპანიის მიერ მხოლოდ გურიის რეგიონში სამი დიდი, რამდენიმე მილიონიანი პროექტი ხორციელდება – ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში ცენტრალური მოედნების და მიმდებარე შენობის რეაბილიტაცია.

შპს „აღმაშენებელი ქუთაისი“ (დირექტორი ზურაბ გუბელაძე 100%-იანი წი-

რა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება თხინვალში, კონჭკათისა და მერიასში



გაზეთი „ალიონი“ წლების მანძილზე რეგიონის სოფლებს სტუმრობს და იქაურ ამბებს აცნობს მკითხველებს. ამჯერად ჩვენი ჟურნალისტური მოგზაურობის მარშრუტი თხინვალ-კონჭკათი-მერია იყო, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ გელა არომიძესთან ერთად მერიის წარმომადგენლებს, მოსახლეობას შევხვდით და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც მოვიხსნა.

სამთავე სოფლისათვის მა ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი გეგმიური-ხვარბეთი-მერია-თხინვალ-კონჭკათის სასმელი წყლის მომარაგების პროექტია, რომლის საპროექტო-საძიებო სამუშაოებზე 700 ათასი ლარია გამოყოფილი. ამასთანავე სოფლებში მიმდინარეობს მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, ეწყობა გაბიონები და წყლის სანიაღვრე არხები.

თხინვალში
 ამ სოფლის ადრინდელი სახელწოდება ახალსოფელი გახლდათ, რომელიც ადრე შედიოდა ხვარბეთის სასოფლო საზოგადოების შემადგენლობაში. გასული საუკუნის 30-იან წლებში თხინვალის კულტურის გამო სოფელს სახელი შეუცვალეს და თხინვალ უწოდეს. 1935 წელს შეიქმნა თხინვალის სასოფლო საბჭო, რომელიც მოიცავდა სოფლებს: თხინვალს,

რია-თხინვალ-ნატანები-შრომის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთები, საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები.

პალმირან ჩხაიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოფელ თხინვალის ტერიტორიულ ერთეულში: – ამჟამად სოფელში ყველაზე მნიშვნელოვანი თხინვალის სკოლის რეაბილიტაციის პროექტი გახლავთ, რაზედაც მსოფლიო ბანკის მიერ 2 მილიონამდე ლარი დაიხარჯა და დღეს სოფელს აქვს თანამედროვე სტანდარტების საუკეთესო სკოლის შენობა. მეორე თემა რამდენიმე მონაკვეთზე მეწყერისაგან დაზიანებული გზებია. მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად ჩვენ მუნიციპალიტეტის მერიას მივმართეთ, ცენტრალურმა ბიუჯეტმა გამოიყო შესაბამისი თანხა და სარეაბილიტაციო სამუშაოები შეიტ-

ანეს 2022 წლის სატენდერო სიაში და თავად ხელდავთ, სკოლის წინ, სანიაღვრე არხებს, სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოებს, რომელსაც შპს „კონჭის ძირი 2010“ ასრულებს. აქ მეწყერული პროცესების შესაჩერებლად ხის ხიბიჯების მთელი კასკადი მოეწყო აღნიშნულ პროექტზე 468 ათასი ლარია გათვალისწინებული. ამავე კომპანიის მიერ სოფელ თხინვალში ვლადიმერ ხურციდის და ლადო ლაბაძის სახლებთანაც მოხდება სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, რაზედაც შესაბამისად 113 და 108,5 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს ფირმა მდინარე ბოვილასთან 50 მეტრი სიგრძის გაბიონს გააკეთებს (65 ათასი ლარი).

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალბო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქციური
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

„ლანჩუთის გურია“ სეზონს განახლებული უმაღლესობითა და ახალი მთავარი მწვრთნელით იწყებს



საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „გურია“ სეზონს განახლებული უმაღლესობით და ახალი მთავარი მწვრთნელით იწყებს. გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე გუნდის წევრებს მხარის რწმუნებული **გიორგი ურუშაძე**, გურიის მაჟორიტარი დეპუტატი **ვასილ ჩიგოგიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ.

„ლეგენდარული საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ არა მარტო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთელი გურიის რეგიონისთვის წარმოადგენს ერთგვარ სავიზიტო ბარათს. მისი განვითარება და სამომავლო წარმატება ერთ-ერთი პრიორიტეტია რეგიონისთვის. 2022 წელს ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით გამოცხადდა პირობიანი აუქციონი, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული და დღეს უკვე გუნდს ჰყავს ახალი მფლობელი, რომელმაც აიღო ვალდებულება, რომ განახორციელებს სოლიდურ ინვესტიციას და მუნიციპალიტეტთან ერთად იზრუნებს გუნდის სამომავლო განვითარებაზე. მეგერა, რომ ლანჩხუთის „გურია“ თავის სიტყვას კვლავ იტყვის ფეხბურთის ისტორიაში და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს, რაშიც რა თქმა უნდა, ჩართული იქნება ადგილობრივი ხელისუფლება,“ - აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

გურიაში ვენახების კადასტრის შექმნა იწყება



სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძე** ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს **ზურაბ ვაჭარაძეს** და მევენახეობის მარეგულირებელი სამმართველოს უფროსს **დავით მაღრაძეს** შეხვდა. სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ვენახების კადასტრის შექმნის შესახებ ისაუბრეს, რომლის საშუალებითაც მოხდება შესაბამის ნაკვეთებზე ინფორმაციის შეკრება და მათი მუდმივი განახლება. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონში მევენახეობის ინტერესების დაცვას, ყურძნის ხარისხის ამაღლებასა და მეღვინეობის განვითარებას.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებთან შეხვედრა



21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა. ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს შეხვდნენ. პატარებს სამახსოვრო საჩუქრები ასოციაცია „საბასთან“ ერთად გადასცეს.

„21 მარტს მთელი მსოფლიო ერთიანდება დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით. დღეს შევხვდით ბავშვებს და სამახსოვრო საჩუქრები გადავცით. მშვიდობიან, ერთიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ მათ. ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“ - განაცხადა ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა.

როდის დასრულდება დაბა ურეკის საჯარო სკოლის მშენებლობა?

მშობლებს. პროექტი ახალი სკოლა 450 მოსწავლეზე გათვლილი და იგი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება: საკლასო სივრცეებით, სპორტული ინფრასტრუქტურითა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული პირობებით. სკოლა აღიჭურვება ახალი ინვენტარითა და ტექნიკით. პროექტის ბიუჯეტი 7 მილიონ ლარს აღემატება, რომელიც საქარ-თველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები კარგად დაიწყო, შემდეგ ტემპი შენედა. სავარაუდოდ, გარკვეული ხარვეზების გამო დაძველებული ხელშეკრულება შეუწყვეტა მშენებელს, მშენებლობა შეჩერდა და ახალი ტენდერი ამ დღეებში გამოცხადდება. მშენებლობის დასრულების ვადა 2023 წლის სექტემბერი იყო გათვალისწინებული. იმედია ახალი სამშენებლო კომპანია მშენებლობას ბოლომდე დროულად მიიყვანს - გვითხრა გონა მდინარაძემ.



რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა საინფორმაციო უსხვედრა გამართეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში ფემციდის კამპანიის ფარგლებში რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრეს ძალადობის აღკვეთის მიმართულებით საზოგადოების ჩართულობის როლსა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებზე. საინფორმაციო შეხვედრას, ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს დეპუტატები, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და ა(ა)ი.პ სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.



„კალმასა სოკო“-საუპაემოსო ხარისხის ბთავაზოპოთ თანამედროვე ტექნოლოგიებით გამოყვანილ, ბიოლოგიურად სუფთა საუპაემოსო ხარისხის კალმასა სოკოს. იგი შვიდიპლიათი შვიდიპლიათი „ჩემს მარკეტში“, ან დაუპაემოსოპოთ მოზ. 593 94 93 97 თვა ცხოველიქი

„დესტრუქციული პოლიტიკური კალა თავის ჩვეულ რეჟიმს არ ღალატობს და ცდილობს არეულობა შემოიტანოს საკრებულოს სხდომაზე“



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ტელევიზიების გამრეების ფონზე ტრადიციულად ხმაურითა და ურთიერთდაპირისპირებით დაიწყო. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით მჭავანაძემ ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანის რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტი გააპროტესტა და იქ განთავსებულ რკინის საყვავილეებს „კუბოები“ უწოდა.

— ევროკავშირის გრანტით ოზურგეთის თეატრის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 2 მილიონ ლარზე მეტი. ყველაზე სამწუხარო ფაქტი ამ ყველაფერში ის არის, რომ ეს თანხა ფაქტიურად წყალში გადაყარეს. მოიტანეს სიმახ-

ინჯეები და დადგეს. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იქ პროექტი განახორციელეს, იყო ის, რომ წინა ხელისუფლების დროს გაკეთებული სკვერი, უნდა ამოე-ძირკვათ, როგორ შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“ უკავშირდებოდეს ქალაქის ცენტრში რამე? გაცილებით მაგარი რაღაც უნდა ვაკეთოთ და ეს მაგარი რაღაც არის, უკვე ვნახეთ. ქალაქის ცენტრში მოიტანეს პირდაპირ კუბოს მსგავსი ჯვართის გროვა და მიმტკიცებენ, რომ წინა პროექტი იმიტომ დაგანგრიეთ, ეს უფრო მაგარიაო. მომწონს ჭავჭავაძის და სხვა ქუჩებზე მიმდინარე პროექტები, მაგრამ თუ არ მოგწონს რაღაც, ჩვენ ვყოფილვართ მტრები და ის კუბოები, რაც დაყარეს ქალაქის ცენტრში, პატრიოტიზმი ყოფილა. არავის არ მოსწონს ის,

რის მიხედვით მოაწვეეს, აუცილებლად უნდა აიღონ — განაცხადა დავით მჭავანაძემ და საკრებულოს დარბაზის კედელზე ფოტოების გაკვრა დაიწყო.

„ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ოპოზიციას მოლაღატებები, ომის პარტიის უწოდეს და კედელზე ფოტოები არ გააკრვენიეს. ნაციონალმა დეპუტატებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

— დესტრუქციული პოლიტიკური ძალა თავის ჩვეულ რეჟიმს არ ღალატობს და ცდილობს არეულობა შემოიტანოს საკრებულოს სხდომაზე, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ისინი პროექტებს და განვითარებას ებრძვიან და მამინ როდესაც ჩვენ ვინილაეთ ქალაქის მდგრადი განვითარების საკითხებს, ისინი ტოვებენ სხდომას, ხმაურით ცდილობენ რომ ჩამალონ და ხელი შეუშალონ სამუშაო პროცესს. საზოგადოების მხრიდან ამ საკითხზე იყო მოსაზრებები და ჩვენ ამ საკითხს დაუბრუნდებით რა თქმა უნდა, მივიღებთ იმ ობიექტურ შენიშვნებს რომელიც ამ პროექტის ირგვლივ შეიძლება არსებობდეს. — განაცხადა ოზურგეთის მერის პირველმა მოადგილე გიორგი ლურჯუშვილიმ.

შემდეგ სიტყვა მოძრაობა „ხალხის ძალა“-ს წარმომადგენელმა, საკრებულოს საფინანსო-სამეურველო კომისიის თავმჯდომარე გელა ჩაველე-შვილმა ითხოვა:

— მინდა, გლობალური ომის პარტიას გამოვეხმაურო, რადგან არ მაც-

ალეს და არ მომეცა საშუალება, პასუხი გამეცა. საკრებულოს სხდომაზე 3-4 დღით ადრე დავით გორდელაძე წარსდგა ანგარიშით საკრებულოს სამი დიდი კომისიის წინაშე.. იქვე იყვნენ თვითონ ნაციონალური პარტიის დეპუტატები, თავად დავით მჭავანაძე და ბესო ქათამაძე. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ, კრინტი არ დაუძრავთ კონკრეტული პროექტების გარშემო. ვინ დაუშალათ, ეთქვათ, კრიტიკულად გამოსულიყვნენ. თუქცა, იცით, რაშია საქმე? კომისიის სხდომაზე არ იყვნენ ოპოზიციური ტელევიზიები და ჟურნალისტები, არ იყო კამერები. დღეს კი აქ არიან. ამჯერად მათი მთავარი ამოცანა იყო, კამერების წინ პოზიციობა. მე იმის თქმა მინდა, რომ აქ არ მიღის გადაღებები, საკრებულოს

დარბაზი არ არის თეატრალური მოედანი... მოვიდნენ და ილაპარკონ საქმეზე, — თქვა მან საკრებულოს ნაციონალი წევრების მისამართით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა საკითხებთან ერთად ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე იმსჯელეს. საკრებულომ, მერს ქ. ოზურგეთის გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების თაობაზე თანხმობა მისცა.

აღნიშნულ განკარგულების პროექტი ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, რომლებმაც სხდომა დატოვეს.



„ეს თაობა ძუჩაში არა რომელიმე პარტიის ბავლენით, არამედ საქართველოს ევროპული არჩევანის დასაცავად, საკუთარი ნებით გამოვიდა“



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრების მიერ დარბაზის დატოვებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების მიერ კომენტარების გაკეთების შემდეგ, თავისი პოზიცია დააფიქსირა ფრაქცია „საქართველოსათვის“ თავმჯდომარე ალექო ბურჭულაძემ.

თუ როგორია მისი პოზიცია ქვეყნის ევროპულ კურსთან დაკავშირებით გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა:

— „...ბოლო დღეების სამოქალაქო პროტესტმა კიდევ ერთხელ აჩვენა ქართველი ხალხის არჩევანი ევროპულ ოჯახში გაერთიანების შესახებ. რუსთაველზე განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ყოველგვარი პარტიული კუთვნი-

ლების მიუხედავად, როცა საქმე ჩვენი ქვეყნის ევროპულ კურსს ეხება, ქართული საზოგადოება ერთიანი და კონსოლიდირებულია. სწორედ ამ არჩევანს გამოხატავს კონსტიტუციის 78-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც ჩვენ ყველა ზომა უნდა მივიღოთ, ევროკავშირსა და ნატოში სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

•საკვანძოდ მნიშვნელოვანია, 2024 წელს ქვეყანაში ჩატარდეს ისეთი არჩევნები, რომელიც ქართველი ხალხის ნებას სრულად გამოხატავს. ამ პროცესში აუცილებელია ემიგრანტების ჩართულობა. ჩვენი მოქალაქეების თითქმის მესამედი იძულებით ემიგრაციაში იმყოფება ქართველ ხალხს ნამდვილად ეკუთვნის ისეთი სახელმწიფო, სადაც მოქალაქეებს მატერიალური სტაბილურობის გაცდა ექნებათ, პროფესიულ განვითარებას უკეთესად შეძლებენ, პენსიაზე გასვლის არ შეემინდებოთ და ზოგადად, ღირსეულად იცხოვრებენ საკუთარ სამშობლოში.

საქართველო მყარად უნდა იდგეს დემოკრატიული განვითარების გზაზე. სადაც ადამიანების უფლებები იქნება ხელშეუხებელი, სადაც ბიზნეს-სექტორი შექმნის დოვლათს, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტები იქნებიან ქვეყნის და თითოეული მოქალაქის სამსახურში. ამ პროცესს ხელს არაერთი ფაქტორი უშლის. მათგან ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი კი ოკუპანტი ქვეყნის ინტერესები და მცოცავი ოკუპაციაა. აღნიშნულ საფრთხესთან დაკავშირებით ჩვენ უნდა გვქონდეს ერთიანი, ქვეყნისთვის

სასარგებლო პოზიცია და სწორი პოლიტიკური სტრატეგია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ყველა მხარემ გავაზაროთ ერთი მნიშვნელოვანი რამ: ახლა ჩვენს ქვეყანაში დგას ფაქტიურად გადამწყვეტი მომენტი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს სამომავლო პერსპექტივას. ამიტომ ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, თითოეულმა ჩვენგანმა გვერდზე გადავლოთ პარტიული, პოლიტიკური თუ პირადი ინტერესები, დავძლიოთ შური და ბოღმა და ერთად ვაკეთოთ საქმე, ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანის სიმტკიცეზე, რაც აუცილებლად უნდა გარდაიქმნას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში. თუ ჩვენ ვიქნებით ერთად, მტკიცედ გამოვხატავთ და დავიცავთ ქართველი ხალხის ნებას და ერთად გავაკეთებთ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს, მაშინ ჩვენს შვილებს აღარ დასჭირდებათ ქუჩაში მიტინგზე დგომა, აღარ შეექმნება საფრთხე მათ ჯანმრთელობასა და მომავალს. ეს ის თაობაა, რომელსაც უცდელადაა ვერ შეიყვან, რომელსაც არ გააჩნია არანაირი პოლიტიკური მიზნები, ეს თაობა ქუჩაში არა რომელიმე პარტიის გავლენით, არამედ საქართველოს ევროპული არჩევანის დასაცავად, საკუთარი ნებით გამოვიდა და ჩემი დიდი პატივისცემა და მადლიერება მათ“ — განაცხადა ალექო ბურჭულაძემ.

ევროპული და CENN გურიაში სოფლის განვითარების ახალ პროექტს იწყებენ



ალიონი. 22 მარტს, „ტექნოპარკ ოზურგეთში“ ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ახალი პროექტის — „მწვანე გურია — ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ — გახსნითი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც CENN, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად უმასპინძლა.

პროექტის მიზანშეწონილი სიტყვით წარდგინა ნანა ჯანაშია, პროექტის მენეჯერი ქეთევან ზუციშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკატერინე ზვიადაძე — პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ეკატერინე ზვიადაძე, ასევე სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსი კარლო აძრგულაშვილი.

პროექტის პრეზენტაციის მონაწილეებს სიტყვებით მიმართეს: გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ; ჩონატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერის პირველმა მოადგილეებმა მათა კუჭუბიძემ, გიორგი ლურჯუშვილიმ, ეკა გუჯაბიძემ. პროექტის მიზანია, სიღარიბის

შემცირება და მოწყვლადი თემებისთვის ეკონომიკური და სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის, სოფლის ინკლუზიური განვითარებისა და მწვანე ზრდის მხარდაჭერის გზით. ღონისძიების სტუმრები გაეცნენ პროექტის მიზნებსა და შემუშავებულ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია გურიაში სოფლისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ.

პროექტის გახსნით ღონისძიებას, ევროკავშირის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერები დაესწრნენ.

პროექტს ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG) თანამშრომლობით, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD IV-ის ფარგლებში. პროექტი სამი წლის განმავლობაში გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში განახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას.

